საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10. 1023318001**
თარიღი:**14/11/2023**

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად საჯარო კონკურსის გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 61-მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლის და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #204 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადდეს კონკურსი (ღია და შიდა);

2. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს საჯარო კონკურსის გამოცხადება აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დანართი #1-ის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით (hr.gov.ge);

3. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ამ ბრძანების აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (abasha.gov.ge) გამოქვეყნება;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (სენაკი, რუსთაველის #247);

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, აბაშა, 0200, ტ.დარასელიას ქ. N1, ტელ: (+412) 29 18 35,
ელ.ფოსტა: ABASHISMERIA@GMAIL.COM

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #204 დადგენილების შესაბამისად აბაშის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით აცხადებს ღია და შიდა კონკურსს 2023 წლის 16 ნოემბერს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკანსიებზე განცხადების მიღების ბოლო ვადაა 20 ნოემბრის 24:00 სთ-მდე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ფლობს ქართულ ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისთვის დაწესებულ საკონკურსო-საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა განცხადება უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით;
2. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით;
3. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge)- ,,ჩემი რეზიუმე“-ს ,,დამატებითი დოკუმენტაციის“ ბლოკში კანდიდატმა უნდა ატვირთოს:

   ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

   ბ) კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე დაწესებული საკონკურსო-საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

   გ) ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით დადგენილ ძირითად მოთხოვნებს;

   გ) შიდა კონკურსი ცხადდება პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო დაწესებულების ან/და დაწესებულების სისტემის მასშტაბით და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს იქ დასაქმებულ მოხელეს.

   - აუცილებელია კანდიდატმა წარმოადგინოს ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატი არის მოქმედი პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირი, ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც არანაკლებ 1 წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში.
4. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა) საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატი კონკურსის მე-2 ეტაპზე არ დაიშვება.
5. კონკურსის გასაუბრების ეტაპზე მონაწილეებმა უნდა იქონიონ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი.
6. კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

   ა) პირველი ეტაპი მოიცავს საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ კანდიდატთა განცხადებების (აპლიკაციების) გადარჩევას; პირველი ეტაპის შედეგების შესახებ ეცნობებათ კანდიდატებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის www.hr.gov.ge -ს მეშვეობით.

   ბ) მე-2 ეტაპი ტარდება გასაუბრების ფორმით. შერჩეულ კანდიდატთან (კანდიდატებთან) გასაუბრებას ატარებს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისია.

   დ) გასაუბრება ჩატარდება აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში მისამართზე: ტროფი დარასელიას ქ #1 (მესამე სართული).

7. შეკითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: დიმიტრი ცანავა - 599855804;